საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

ბრძანება N 105

ქ. თბილისი

14/01/2022

,,საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპატამენტის შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის 2019 წლის 17 აპრილის N136 ბრძანებაში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 122-ე მუხლის ,,ი“ ქვეპუნქტისა და 123-ე მუხლის პირველი-მესამე პუნქტების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. შევიდეს ცვლილება ,,საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპატამენტის შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის 2019 წლის 17 აპრილის N136 ბრძანების დანართის - ,,საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპატამენტის შინაგანაწესის“ მე-10 მუხლში, მე-10 მუხლს დაემატოს მე-3^1 პუნქტი და ტექსტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,3^1. მოხელის დისციპლინურ გადაცდომად, ასევე, მიიჩნევა ნარკოტიკული საშუალების მოხმარების ფაქტის დადასტურება, გარდა მისი სამკურნალო მიზნით მოხმარების შემთხვევებისა; აგრეთვე, პერიოდული/შერჩევითი შემოწმებისთვის თავის არიდება. ნარკოტიკული საშუალების მოხმარების ფაქტის დადასტურების ან პერიოდული/შერჩევითი შემოწმებისთვის თავის არიდების შემთხვევაში, მოსამსახურეს შეეფარდება ,,საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა - სამსახურიდან გათავისუფლება“.

2. ეს ბრძანება ძალაშია მისი ხელმოწერიდან მომდევნო სამუშაო დღეს.

3. ამ ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6).

დანართი: 1. საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის 2021 წლის 28 დეკემბრის წარდგინება N15447-2;

2. საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის 2019 წლის 17 აპრილის N136 ბრძანება ,,საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს

0160, თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №12, ტელ: (+995 32) 2376 286, ფაქსი: (+995 32) 2376 216
ელ-ფოსტა: info@georoad.ge

გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპატამენტის შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“.

გიორგი წერეთელი

დეპარტამენტის თავმჯდომარე